ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3776850

ნომერი: AR1568565

თარიღი : 04.01.2018

გაცემის თარიღი : 15.01.2018

გაცნობის თარიღი : 15.01.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქვიშხეთის ქუჩა N51 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ქვიშხეთი , N 49 / ქალაქი თბილისი , ქვიშხეთის ქ.N49ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ემზარ ნაყოფია პ/ნ 62006044573
- გლდანი, Iმრ, კ-2, ბ-68

ნომენკლატურა :

- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი
- II კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "გდგ"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 400161999
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ემზარ ნაყოფია
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 62006044573

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1297.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 61.5

- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 282.9
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 233.7
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 49.2
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 4.6
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 3.8
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.8

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია, რომელშიც გამოვლინდა შემდეგი სახის ხარვეზები (ხარვეზების შესახებ ინფორმაცია მითითებულია შესაბამისი ველების გასწვრივ), კერძოდ:
1.საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" #57 დადგენილების მე-20 მუხლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების განხორციელების ინტერესი აქვს მეორე მესაკუთრესაც, დამკვეთის ველში დამატებით დაფიქსირდეს აღნიშნული პირი. აგრეთვე, ვინაიდან მიწის ნაკვეთი წარმოადგენს თანასაკუთრებას, წარმოდგენილ იქნას მეორე მესაკუთრის მიერ განმცხადებელზე გაცემული მინდობილობა, თანხმობა, ან აღნიშნული პირი დარეგისტრირებულ იქნას თანაგანმცხადებლად.
2. ვინაიდან საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით ფიქსირდება ვალდებულებები, წარმოდგენილ იქნას ხელშემკვრელი პირების სათანადოდ დამოწმებული თანხმობა განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით ან ვალდებულებების საფუძვლები, თუ ის არ საჭიროებს დამატებით თანხმობას.
3. სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები. -> .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: -> .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: მაჩვენებლები ჩამოყალიბდეს ჭრილის ნახაზის მიხედვით.
4. დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი. -> .დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის pdf ფაილი. : იმისათვის რომ სამსახურმა სრულად იმსჯელოს აღნიშნულ საკითხზე წარმოდგენილ იქნას დღევანდელი სტუაციის ამსახველი ფოტომასალა თარიღის ფიქსაციით. ასევე, სადემონტაჟო დოკუმენტაცია წარმოდგენილ იქნას უფლებამოსილი პირის მიერ დამოწმებული სახით.
5. სადემონტაჟო შენობის სიახლოვეს ფიქსირდება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მილსადენი (კანალიზაციის მილი N01.01.755), ხოლო წარმოდგენილი ფოტომასალის მიხედვით სადემონტაჟო შენობასთან განთავსებულია გაზის მილი. ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით წარმოდგენილ იქნას აღნიშნულთა თანხმობები.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი. გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.